სამხედრო პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება

მუხლი 2. სამხედრო პოლიციის სამართლებრივი სტატუსი

სამხედრო პოლიცია არის საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სპეციალური სამართალდამცავი სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საქმეთა გამოძიებას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ობიექტებისა და შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების დისლოკაციის ადგილების დაცვას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 7. სამხედრო პოლიციის საქმიანობის მიზნები და ამოცანები

სამხედრო პოლიციის საქმიანობის მიზნები და ამოცანებია:

ა) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საგამოძიებო ქვემდებარეობის ფარგლებში დანაშაულის თავიდან აცილება, გამოვლენა, გამოძიება და დამნაშავეთა ძებნა-დაკავება ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარგებლობაში არსებულ ობიექტებსა და ტერიტორიაზე, შეიარაღებული ძალების დისლოკაციის ადგილებში და მათ ფარგლებს გარეთ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა მიერ დისციპლინის დაცვის კონტროლი, თავდაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილების (ჰაუპტვახტების) დაცვა;

გ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, გამოვლენა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე;

დ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ე) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარგებლობაში არსებული ობიექტებისა და ტერიტორიის, შეიარაღებული ძალების დისლოკაციის ადგილების დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა, სამინისტროს სამხედრო ობიექტების პერიმეტრის დაცვითი და უსაფრთხოების ოფიცერთა მეშვეობით ქვედანაყოფების შიდა უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის მოპოვება, გადამუშავება და ანალიზი;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მიზნები და ამოცანები.

საქართველოს 20 10 წლის 17 დეკემბრის კანონი № 4115 - სსმI,№ 75 , 27 . 12 .20 10 წ.,მუხ. 471

მუხლი 8. სამხედრო პოლიციის უფლებამოსილებანი

სამხედრო პოლიცია უფლებამოსილია, საქმიანობის მიზნებისა და ძირითადი პრინციპების უზრუნველსაყოფად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსთხოვოს პირს, დაიცვას მართლწესრიგი, ხოლო ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში – მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები;

ბ) განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული საგამოძიებო ქვემდებარეობის ფარგლებში გამოავლინოს, გახსნას და აღკვეთოს დანაშაული, დაიწყოს და აწარმოოს გამოძიება, გამოიყენოს ფიზიკური იძულება კანონით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით;

გ) განახორციელოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კომპეტენციიდან გამომდინარე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით მოითხოვოს (წერილობით ან სიტყვიერად) და დაუყოვნებლივ მიიღოს (მათ შორის, ადგილზე გაცნობით) ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია მითითებული ვადებისა და ფორმის დაცვით;

ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და ფორმით გამოჰკითხოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ნებისმიერი საჯარო მოსამსახურე, სამხედრო მოსამსახურე ან/და თანამდებობის პირი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით – სხვა პირი, რომელსაც შესაძლოა საქმესთან დაკავშირებით ჰქონდეს ინფორმაცია, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქმის თაობაზე მიიღოს მისგან წერილობითი ან/და სიტყვიერი განმარტება, რაც უზრუნველყოფს სამხედრო პოლიციისათვის დაკისრებული მოვალეობების სრულყოფილად შესრულებას;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი;

ზ) სამხედრო მოსამსახურის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში გააჩეროს სატრანსპორტო საშუალება და მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები;

თ) უზრუნველყოს სამხედრო პატრულის ფუნქციონირება;

ი) შეამოწმოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარო მოსამსახურის, სამხედრო მოსამსახურის, აგრეთვე პირის, რომელიც გამოკითხული უნდა იქნეს საქმესთან დაკავშირებით, სამსახურებრივი ან/და მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი საბუთი, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები მათ მიერ დანაშაულის, ადმინისტრაციული გადაცდომის ან დისციპლინური დარღვევის ჩადენის შესახებ;

კ) საქართველოს შეიარაღებული ძალების დისლოკაციის ადგილებზე უზრუნველყოს უსაფრთხოების ოფიცერთა ფუნქციონირება;

ლ) აღკვეთოს სამხედრო პირთა მიერ უკანონო გამოსვლების, მიტინგების, პიკეტებისა და სხვაგვარი აქციების მოწყობა;

მ) საქართველოს შეიარაღებული ძალების შენაერთების დისლოკაციის ადგილის შეცვლისას და საბრძოლო-სატრანსპორტო ტექნიკის გადაადგილებისას საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის, აგრეთვე ცალკეული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების ჩატარების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაკეტოს გზები და ქუჩების მონაკვეთები ან შეზღუდოს მოძრაობა გზებსა და ქუჩების მონაკვეთებზე;

ნ) დანაშაულის ჩადენის ფაქტზე წასწრების შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული წესით დააკავოს სამოქალაქო პირი და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადასცეს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს;

ო) კანონით დადგენილი წესითა და ფორმით განახორციელოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვემდებარე დანაშაულებთან დაკავშირებით ძებნილ პირთა ძებნა-დაკავების მოქმედებები;

პ) გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში , დამნაშავის დევნისას , დაკავებულის პოლიციაში წარსადგენად , აგრეთვე სამკურნალო დაწესებულებაში იმ პირ ის მისაყვანად , რომელიც სასწრაფო სამედიცინო დახმარებას საჭიროებ ს , საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უსასყიდლოდ ისარგებლოს სატრანსპორტო საშუალებით (გარდა დიპლომატიური წარმომადგენლობების , საკონსულო დაწესებულებ ებ ის ა და საერთაშორისო ორგანიზაციების და სპეციალური ტრანსპორტის ა);

ჟ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საწარმოსაგან, დაწესებულებისაგან, ორგანიზაციისაგან და მოქალაქისაგან უსასყიდლოდ მიიღოს ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონით დადგენილია ინფორმაციის მიღების სპეციალური წესი;

რ) საგამოძიებო ქვემდებარეობით მისთვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით განახორციელოს ბრალდებულის ან/და ამოუცნობი გვამის რეგისტრაცია, დაქტილოსკოპირება, ფოტო-, კინო-, ვიდეო- და აუდიოგადაღება, შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების აღება, აგრეთვე ჩაატაროს საექსპერტო გამოკვლევები სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე;

ს) საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს, კანონით განსაზღვრული კომპეტენციიდან გამომდინარე, მოაწყოს რეიდები დასახლებულ პუნქტებში, საგზაო მაგისტრალებზე და ტერიტორიულ წყლებში;

ტ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დანაშაულის გარემოებათა და მის ჩამდენ პირთა დასადგენად, გამოძიებისაგან და სასამართლოსაგან მიმალული, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მოსაძებნად, ამოუცნობი გვამის ვინაობის დასადგენად, სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად, მართლწესრიგის განსამტკიცებლად;

უ) მგზავრების პირადი დაცვის უზრუნველსაყოფად, ბრალდებულის დაკავების ან დაპატიმრების მიზნით, დადგენილი წესით მიმართოს შესაბამის ორგანოებს სარკინიგზო, საზღვაო ან საჰაერო ტრანსპორტის გასვლის გონივრული ვადით შეყოვნების შესახებ;

ფ) უზრუნველყოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, აგრეთვე საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ უცხო ქვეყნების თავდაცვის სისტემის მაღალი რანგის

სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის პირთა უსაფრთხოება (საჭიროების შემთხვევაში ესკორტით გადაადგილება) შესაბამის დაწესებულებებთან თანამშრომლობით;

ქ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დებულებით განსაზღვრული სხვა საქმიანობა.

მუხლი 15. სამხედრო პოლიციის ორგანიზება

1. სამხედრო პოლიცია არის საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სპეციალური სამართალდამცავი სტრუქტურული ქვედანაყოფი.

2. სამხედრო პოლიცია დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე უცხო ქვეყნების ტერიტორიაზე არსებულ საქართველოს შეიარაღებული ძალების დისლოკაციის ადგილებზე, და ფუნქციონირებს ერთიანი, ცენტრალიზებული წესით.

მუხლი 16. სამხედრო პოლიციის ხელმძღვანელობა

1. სამხედრო პოლიციის მართვას, კოორდინაციასა და ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი, რომელსაც საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს სამხედრო პოლიციას, პასუხისმგებელია სამხედრო პოლიციისთვის საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულებისათვის;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებებს იღებს სამხედრო პოლიციის კომპეტენციის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებზე;

გ) საქართველოს თავდაცვის მინისტრსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სამხედრო პოლიციის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და ინფორმაციას სამხედრო პოლიციის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების თაობაზე;

დ) სამხედრო პოლიციის კომპეტენციის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებზე გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, მეთოდურ მითითებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა სამხედრო პოლიციის თანამშრომლებისათვის;

ე) თავდაცვის ბიუჯეტის ფორმირებისას საქართველოს თავდაცვის მინისტრთან და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსთან შეთანხმებით წინადადებებს წარუდგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფს;

ვ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.